რა ცვლილებები შედის 2010 წლის ბიუჯეტში?

გაზეთი “ალია” – 6-7 ოქტომბერი, № 116, 2009

პარლამენტში შეტანილი პროექტის მიხედვით, 2010 წლის ბიუჯეტი 247 მილიონით მცირდება. მომავალი წლის ბიუჯეტში შემოსავლები 4.865.380.0 ათასი ლარით განისაზღვრება. მიმდინარე წელს კი ბიუჯეტში შემოსავლები 5.137.516.8 ლარი იყო. რაც შეეხება მომავალი წლის პროგნოზებს შემოსავლებში, გადასახადებზე მოდის 4.235.00.0 ლარი, მიმდინარე წელს კი ეს ციფრი 4.260.00.0 ლარია. ამასთანავე მომავალ წელს საგრანტო შემოსავალი იქნება 376.380.0 ლარი. მიმდინარე წელს კი 555.474.8 ლარია. სხვა შემოსავლებში მომავალ წელს 253.400.0 ლარია ნავარაუდევი. მიმდინარე წელს კი ეს ციფრი 322.042.0 ლარია. რაც შეეხება ხარჯებს, მომავალი წლისთვის ხარჯების 5.280.829.0 ათასი ლარით განსაზღვრა იგეგმება, მიმდინარე წელს კი ხარჯები 5.527.221.0 ათასი ლარია. 2010 წლისთვის თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 147 მილიონი ლარით შემცირდება. უწყება, რომელიც მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 897 მილიონი ლარით იყო დაფინანსებული, მომავალი წლისთვის მხოლოდ 750 მილიონს მიიღებს.

ალიას ესაუბრა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, ამ შემცირებას თქვენ როგორ აფასებთ, მთავრობის წევრებმა ქამრების მოჭერა გადაწყვიტეს თუ ისევ გვატყუებენ რამეს?

– პირველი საკითხი ისაა, რომ სერიოზული პრობლემებია ქვეყანაში, სერიოზული პრობლემები აქვს ბიუჯეტს და ასევე, მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, რაც უპირველესად აისახება წარმოების შემცირების მოცულობაზე და შესაბამისად, გადასახადების შემცირებაზე, ანუ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მცირდება. ამ შემთხვევაში ეს აისახება პრაქტიკულად ყველა უწყებაზე. როგორც გავიგე, სამ უწყებას ეზრდება ხარჯები, დანარჩენებს კი უმცირდებათ. ეს სამი უწყებაა: ცენტრალური საარჩევნო კომისია, პარლამენტი და განათლების სამინისტრო. მე არ ვიცი, პარლამენტის ხარჯები რატომ იზრდება, მაგრამ განათლების სამინისტროს

დაფინანსების გაზრდას მივესალმები, ასევე, გასაგებია საარჩევნო კომისიის დაფინანსების გაზრდაც, გაისად ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას აპირებენ.

– ეს ხარჯვითი ნაწილი ძირითადად ხელფასებს ეხება?

– ჩემი აზრით, ეს ხელფასებს არ უნდა შეეხოს, ეს, ალბათ, შეეხება ძირითადად შესყიდვებს. ხალხს ვერ შეამცირებენ, გამორიცხულია.

– რატომ არის გამორიცხული, ჯერ არ შეუმცირებიათ თუ რა?

– არა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ არა მგონია, კიდევ ახალი ტალღა გაატარონ შემცირებებისა და უმუშევრობისა.

– აი, მე კიდევ ვფიქრობ, რომ შეიძლება ხალხი გამოყარონ ქუჩაში.

– ვნახოთ, სააკაშვილი უნდა მივიდეს პარლამენტში და წარადგინოს ახალი პაკეტი, იქ გახდება უკვე ნათელი, რას აპირებენ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, თავდაცვის ხარჯების შემცირება ასე მკვეთრად რას მოასწავებს, სააკაშვილისთვის ჯარი აღარ არის პრიორიტეტული?

– თავდაცვის დეტალები, როცა პარლამენტში ვიყავი, მაშინაც არ ვიცოდი, ეს მხოლოდ ნდობის ჯგუფის წევრებისთვისაა ცნობილი. ჩემი აზრით, აქაც შემცირდება შესყიდვები.

– როგორც პოლიტიკოსს, ახლა ისე გეკითხებით: გვჭირდება კი საერთოდ ამდენი ხარჯი თავდაცვაში?

– აუცილებლად გვჭირდება, ჩვენ ვართ ძალიან ფეთქებადსაშიშ რეგიონში. რუსეთის გარდა, არიან ისეთი ძალებიც, რომლებიც, თუ სუსტად ჩათვალეს საქართველო, ძალიან დიდ პრობლემებს გაგვიჩენენ. ჩვენს გარშემო საკმაოდ ბევრი ილესავს კბილებს. მოდით, ახლა ამას ნუ დამაზუსტებინებთ, მაინც არ ვიტყვი, მაგრამ ყველასთვის მაინც გასაგებია.

– თქვენ ხომ არაფერი იცით სააკაშვილის ახალი ინიციატივების შესახებ?

– მე არაფერი ვიცი, გარდა ერთისა, სააკაშვილი აპირებს ინიციატივის შემოტანას, რომ გადასახადების გაზრდა მომავალში შესაძლებელი იყოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით, რაც წმინდა წყლის პოპულიზმია.

– რეფერენდუმი გადასახადების შემცირებაზე რომ ჩაგვიტარონ, არ შეიძლება?

– შემცირებაზე არა, რომ არ გაიზარდოს, რეფერენდუმის ჩატარება იქნება საჭიროო. ეკონომიკა ცოცხალი ორგანიზმია, ცვალებადია და ასეთ ხელოვნურ ბარიერებს ვერ აიტანს, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკა იქნება გასატარებელი და წინასწარ ასეთი დაბმა მთავრობისაც და პარლამენტისაც კარგს არაფერს მოგვიტანს.

– მე, ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი და ამ ქვეყნის მოქალაქე, გადასახადების გაზრდას ხომ არ მივცემ ხმას? ასე გააკეთებს ყველა და გამოვა, რომ რეფერენდუმისთვის გამოყოფილი თანხები წყალში ჩაიყრება. ამ ქვეყანაში ერთადერთი ბენდუქიძეა, რომელიც ამტკიცებს, საქართველოში გადასახადები ძალიან დაბალიაო.

– მეც სწორედ ამას ვამბობ, ქვეყანას რომ დასჭირდეს ხვალ გაზრდა, ვეღარ გაზრდის, თუ ამ ცვლილებას მიიღებენ. ამ შემთხვევაში მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რომ ასეთი რამ კონსტიტუციაში ჩაიწეროს, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა იქნება ხვალ და ზეგ, მერე ყოველკვირეულად თუ ყოველთვიურად რეფერენდუმები ვატაროთ?

გელა ზედელაშვილი